თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

# სალექციო კურსი: „პედაგოგიური ეთიკა„

2011/2012 სასწავლო წელი, II სემესტრი

- **ფაკულტეტი:** პედაგოგიურ მეცნიერებათა
- **კათედრა:** პედაგოგიკა-მეთოდიკებისა და ფსიქოლოგიის გაერთიანებული
- **სალექციო კურსის დასახელება და მისი კოდი:** პედაგოგიური ეთიკა
- **კრედიტების რაოდენობა ამ საგანში:** 5 ESTC
- **სალექციო კურსის სტატუსი:** სავალდებულო მაგისტრატურის სტუდენტებისათვის
- **ასოც. პროფ:** ნინო მოდებაძე, 855 45 27 94. E-mail: ninmodebadze@rambler.ru
- **ასისტენტ-პროფესორი:** შორენა ძამუკაშვილი
- **სალექციო კურსის აღწერა:** სალექციო კურსი 5 კრედიტიანია და მოიცავს 125 საათს, აქედან: 45 საათი, კვირეული დატვირთვით 3 საათი, სტუდენტებთან საკონტაქტოა, რომელთაგან 1 საათი სალექციოა, ორი –პრაქტიკული მეცადინეობის. დარჩენილი 80 სთ სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის წილია. სალექციო კურსში ზოგადი ეთიკის საკითხებთან ერთად განიხილება მასწავლებლის პროფესიული ეთიკის საკითხები. კურსში ცალ-ცალკეა განხილული სკოლამდელი აღზრდის, საჯარო სკოლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა ეთიკის საკითხები. აგრეთვე ინკლუზიური განათლების საკითხები და სპეციალური პედაგოგის პროეფესიული ეთიკის საკითხები.

**სალექციო კურსის მიზანი და ამოცანები:** დღევანდელი სკოლის უმთავრესი ფუნქციაა, დაეხმაროს მოსწავლეს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერებაში; ჩამოაყალიბოს მოსწავლე სამოქალაქო ღირებულებების მატარებელ პიროვნებად. ამის მიღწევა შესაძლებელია ეთიკური თვალსაზრისით ჩამიყალებებული, სამაგალითო პიროვნების, მასწავლებლის დახმარებით. შესაბამისად, სასწავლო კურსის მიზნები და ამოცანებია:

მომავალი მასწავლებლის აღჭურვა:

- მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შესახებ ცოდნით;
- ზოგადი ეთიკური ნორმებისა და პრინციპების ცოდნით;
- პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნით;
- მოსწავლეებთან, მშობლებთან, თანამშრომლებთან და ზოგადად სოციუმთან ურთიერთობის ეთიკური ნორმების ცოდნითა და ღირებულებებით.

- **სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა:** არა აქვს

**სალექციო კურსის შედეგი:**

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | აქვს ღრნა ცოდნა ზოგადი და პედაგოგიური ეთიკის სფეროში | სტუდენტი ფლობს საფუძვლიან ცოდნას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების შესახებ. შესაბამისად, გაცნობიერებული აქვს |

| | | |
|---|---|---|
| | | მასწავლებლის მოსწავლეებთან, მშობლებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობის ეთიკური ნორმები, რომელიც ჯდება მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის სტანდარტებში. ფლობს სკოლამდელი აღზრდის, საჯარო სკოლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა, აგრეთვე ინკლუ-ზიური განათლების საკითხების და სპეციალური პედაგოგის პრო-ფესიული ეთიკის საკითხების შესახებ საფუძვლიან ცოდნას. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | განუვითარდებათ შემოქმედებითი ზაროვნებისა და ძიების უნარი, მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი | მისი ცხოვრებისეული ქმედებები მთლიანად პასუხობს ეთიკის ნორმებს. კონკრეტულ სიტუაციაში შეუძლიათ მოვლენების არსის განსაზღვრა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების წარმოჩენა. ამასთანავე, ურთიერთობებში შესაძლო პრობლემების წარმოქმნისას მოქმედებს ადექვატურად ისე, რომ დაცულ იქნას ეთიკური ნორმები და მისი ქმედება ორივე მხარისათვის იყოს სასარგებლო. |
| კომუნიკაციის უნარი | აქვთ ეფექტური კომუნიკაციის უნარი | შეუძლიათ კოლეგებთან ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, წარმატებით მუშაობენ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფში. |
| ღირებულებები | აქვს საგანმანთლებლო საქ-მიანობაში არსებული ღირე-ბულებების კრიტიკული გა-აზრებისა და ამ ღირებულე-ბათა განვითარების უნარი | ფლობს არა მხოლოდ ადამიანებთან ურთიერთობის ყველა ეთიკურ ნორმასა და ღირებულებას, არამედ შეუძლია საჭირო სიტუაციაში განმუხტოს და დაარეგულიროს სიტუაცია. შესწევს უნარი, დაარწ-მუნოს პიროვნება მისი ქცევის არა-ადექვატურობაში და შესაბამისი დახმარებაც გაუწიოს, რაც გამოი-ხატება მისი ეთიკური ღირებულებე-ბის შესაბამისი მიმართულებით გან-ვითარებაში. |
| სწავლის უნარი | მუდმივად იქნებიან ახლის ძიებაში | შეეძლებათ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, ინტერნეტში საჭირო მასალების მოძიება, დამუშავება და შესაბამისი თვალსაჩინოების გამოყენებით პრეზენტაციების მომზადება. ამასთანავე, აქვს ლიტერატურაზე ეფექტურად მუშაობის უნარი. მუდმივად ზრუნავს საკუთარი პროფესიონალიზმის განვითარებაზე. |

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**: ლექცია, ჯგუფური მუშაობა, ზეპირი გამოკითხვები, კოლოქვიუმები და პრეზენტაცია

- **ძირითადი ლიტერატურა:** *მოდებაძე, ნ., და მახაშვილი, დ. რიდერი „პედაგოგიური ეთიკა“ 2010 წ.*
- **სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

შეფასების 100% - იანი სისტემა გადანაწილდება შემდეგი სახით:

შუალედური შეფასება – მაქსიმალური 60%
ფინალური გამოცდა – მაქსიმალური 40 %

მათ შორის: *2 წერითი სამუშაო* – 30% (15% x 2).

პირველი წერა ჩატარდება სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს. წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი. წერის ხანგრძლივობა 50 წთ.

*2 ჯგუფური მეცადინეობა* – 10% (5% x 2).

*5 ლაბორატორიული სამუშაო – 10% (5 . 2)*

ეს 20% უნდა დაგროვდეს მთელი სემესტრის განმავლობაში ჯგუფურ მუშაობებზე და ლაბორატორიულ სამუშაოს შესრულებით.

*1 ზეპირი პრეზენტაცია* – 10%.

საპრეზენტაციო თემას სტუდენტები შეარჩევენ საკუთარი სურვილით გავლილი თემატიკიდან, ხოლო პრეზენტაციის თარიღსა და დროს შეათანხმებენ პროფესორთან. რეგლამენტი 10-15 წთ.

| პრეზენტაციის შეფასების პარამეტრები | მაქსიმალური ქულა |
|---|---|
| შინაარსის ლოგიკურობა | 3 ქულა |
| თემის გასაგებად წარმოდგება | 2 ქულა |
| თემის სრულად წარმოდგენა | 3 ქულა |
| ვიზუალური საშუალებების გამოყენება | 2 ქულა |
| სულ: | 10 ქულა |

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი სახით. გამოცდის ხანგრძლივობა 2 სთ.

## სალექციო კურსის სტრუქტურა

### ლექცია №1

ეთიკის მეცნიერების საგანი და ამოცანები
ლიტერატურა: რიდერი. გვ: 5-21

### ლექცია №2

ეთიკის კატეგორიები: ბედნიერება, მოვალეობა
ლიტერატურა: რიდერი. გვ: 22-45

### ლექცია №3

ეთიკის კატეგორიები: ღირსება და თავმოყვარეობა, სინდისი, სამართლიანობა.
ლიტერატურა: რიდერი. გვ: 47-60

### ლექცია №4

ზნეობის პრინციპები: შრომისმოყვარეობა, კოლექტივიზმი.
ლიტერატურა: რიდერი. გვ: 62-87

### ლექცია №5

ზნეობის პრინციპები: პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, ჰუმანიზმი, ოჯახის სიყვარული.
ლიტერატურა: რიდერი. გვ: 89-120

### ლექცია №6

პედაგოგიური პროფესიის არსი
ლიტერატურა: რიდერი. გვ: 125-145

### ლექცია №7

მასწავლებლის უფლებები და მოვალეობები
ლიტერატურა: რიდერი. გვ: 146-169

### ლექცია №7

მოსწავლის უფლებები და მოვალეობები.
ლიტერატურა: 3. საპრეზენტაციო მასალები

### ლექცია №8
მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის ეთიკური ნორმები
ლიტერატურა: რიდერი. გვ: 172-200

### ლექცია №9
მშობლისა და მასწავლებლის ურითიერთობის ეთიკური ნორმები
ლიტერატურა: რიდერი. გვ: 201-235

### ლექცია №10
მასწავლებლის სოციუმთან ურთიერთობის ეთიკური ნორმები
ლიტერატურა: რიდერი. გვ:235-260

### ლექცია №11
პედაგოგის ავტორიტეტისა და ეთიკის კავშირი
ლიტერატურა: რიდერი. გვ. 263-285

### ლექცია №12
უმაღლესი სკოლის პედაგოგის ეთიკის ნორმები
ლიტერატურა: რიდერი. გვ:287-310

### ლექცია №13
სკოლამდელი განათლების პედაგოგის ეთიკის ნორმები
ლიტერატურა: რიდერი. გვ: 315-335

### ლექცია №14
ინკლუზიური განათლების სახელმწიფო პოლიტიკა
ლიტერატურა: რიდერი. გვ: 336-350

### ლექცია №15
სპეციალური პედაგოგის ეთიკის ნორმები
ლიტერატურა: რიდერი. გვ: 350-355

**წარმატებას გისურვებთ!**